ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ოქმი:**ო47.47211442**
თარიღი:**24/05/2021**

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მორიგი სხდომის

ოქმი 5

***დ. ჩოხატაური* 28 აპრილი, 2021 წელი**

სხდომის თავმჯდომარე- ზაალ მამალაძე.

სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები: დავით გუდავაძე, დავით ბერძენიშვილი, ქეთევან სიხარულიძე, ზვიად წეროძე, აკაკი ყაჭეიშვილი, დავით ტყეშელიაძე, ლაშა თოლორდავა, გოჩა ჯიქია, ნატო ჩანტლაძე, ლევან ლომინეიშვილი, გივი თავაძე, უშანგი ართმელაძე, ბესიკ ყენია, შოთა ჩხიკვაძე, ვლადიმერ სიხარულიძე, იაშა შათირიშვილი, კლოდი მდინარაძე, ზვიადი მამალაძე, კობა კალანდაძე, ბექა გამდლიშვილი, მარინე ბერაძე, დავით შარაშიძე, თემურ ხუხუნაიშვილი, მაია პაიჭაძე, ალექსანდრე ყაჭეიშვილი, ლია ჩიგოგიძე, მაია კუტუბიძე, ირაკლი ახობაძე, გოჩა მეგრელიშვილი.

არ ესწრებოდა: გიორგი რამიშვილი, ერეკლე უღრელიძე, ენვერი ახალაძე, ალექსანდრე შარაშიძე, მანანა მინდაძე, მაია გიორგაძე, მინდია დოლიძე, მამია ბარამიძე.

მოწვეული მუნიციპალიტეტის მერიიდან:

ირაკლი კუჭავა - მუნიციპალიტეტის მერი

მაია გოგლაძე- საფინანსო სამსახურის უფროსი.

მერაბი ბერძენიშვილი - მერიის სპეციალისტი ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკის საკითხებში

სხდომას ესწრებოდა

სოფია ვასაძე - „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ რეგიონალური წარმომადგენელი.

ნიკა ბენდელიანი - „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ ჩოხატაურის ოფისის წარმომადგენელი.

ანი ცინცაძე - „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ ჩოხატაურის ოფისის წარმომადგენელი.

თამაზ ტრაპაიძე -„ს აქართველოს ახალგაზრდული იურისტთა ასოციაციის“ გურიის ფილიალის ხელმძღვანელი.

ირმა გორდელაძე - გარემოს დაცვის სათემო ორგანიზაცია „ეკოს“ თავმჯდომარე .

ნათია ხუცურაული - სამართლიანი არჩევნების და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება.

ვიტალი კილასონია - მოქალაქე.

ზაური ოსეფაიშვილი - შალომ კლუბი გურია.

ქეთევან ჟღენტი - გაზეთი „ალიონი“

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყებამდე საკრებულოს თავმჯდომარემ წინადადებით მიმართა საკრებულოს წევრებს, რომ მოესმინათ სხდომაზე დამსწრე მოქალაქეებს და არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლების ინფორმაციები.

სოფია ვასაძე „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ რეგიონალური წარმომადგენელი საკრებულოს წევრებს, წარუდგინა პროექტის „უნარების გაძლიერების და დასაქმების ინოვაციური შესაძლებლობები საქართველოს რეგიონული განვითარებისთვის“ პრეზენტაცია და ისაუბრა პროექტის დეტალების შესახებ.

ანი ცინცაძე და ნიკა ბენდელიანმა, „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ ჩოხატაურის ოფის, დამსწრეთ გააცნეს ჩოხატაურში ახალი ოფისის გახსნის და პროექტში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობების დეტალების შესახებ. საკრებულოს დეპუტატებს სთხოვეს ინფორმაციის გავრცელებაში დახმარება, რომ ადგილობრივი მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი იყოს აღნიშნულ პროექტში მონაწილეობა.

ირმა გორდელაძე - გარემოს დაცვის სათემო ორგანიზაცია „ეკოს“ თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ლოქდაუნის პირობებში „გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ“ გადაწყვიტა ბახვი 1 ჰესის მშენებლობასთან დაკავშირებით, საჯარო განხილვები ჩაეტარებინა ონლაინ რეჟიმში, რომელზეც დასწრება ბევრმა ჩვენმა მოქალაქემ ვერ მოახერხა მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ჩოხატაურის საკრებულოსთვის ინფორმაციის მიწოდება. ბახვი 1 ჰესის აშენება იგეგმება ბახმაროსთან უფრო ახლოს და მისი ზედა ნაწილი ექცევა კიდეც ბახმაროს სარეკრეაციო ზოლში.

იგეგმება 12 მეგავატიანი ჰესის მშენებლობა. ჩვენი ორგანიზაციის მიზანია ჰესების მშენებლობა წარიმართოს პრინციპით, რაც შეიძლება ნაკლები ზარალი გარემოს და მეტი მოგება.

ამ პროექტთან დაკავშირებით გვაქვს ბევრი შეკითხვა რომელიც წერილობით გაუგზავნეთ კომპანიას.

მთავარი კითხვებია:

1.რატომ შენდება ჰესი ასე ახლოს ბახმაროსთან და სარეკრეაციო ზონაში?

2.იმოქმედებს თუ არა ჰესის მშენებლობა, ბახმაროს უნიკალურ ჰავაზე?

3.შეუშლის თუ არა ხელს ბახმაროს შემდგომ განვითარებას?

4.შეუშლის თუ არა ხელს ბახმარო- გომისმთის დაცული ტერიტორიის პროექტს?

5.არის თუ არა ჩატარებული კვლევები მდინარეებზე ბახვი, ბაისურას წყალი და შენაკადებზე?

6.შესწავლილია თუ არა ნალექების დინამიკა?

7.რა მოუვა მდინარეების მიმდებარე ფერდობებს, მაშინ როცა რამდენიმე კილომეტრზე მდინარის წყლის დიდი ნაწილი მოექცევა გამტარ მილში?

ჩვენი აქტიურობის შემდეგ, სამინისტრომ ბახვი 1 ჰესის პროექტი შეაჩერა და კომპანიას მისცა ორ თვიანი ვადა, ხარვეზების გასასწორებლად. ხარვეზების ჩამონათვალი შეადგენს 22 მუხლს. ჩვენ ჩავრთავთ ექსპერტებს ამ პროცესში. ჩვენი ინფორმაციით 22 შენიშვნიდან კომპანიას 20- ზე არ აქვს ადეკვატური პასუხი.

ირაკლი კუჭავა: იქნებ დაგვისახელოთ, ვის გულისხმობთ ექსპერტებში?

ირმა გორდელაძეს: ვახტანგ ზარქუა, ელენე აბაშიძე, მწვანე ალტერნატივის ეკოლოგები, საიას სპეციალისტები და ა. შ.

თამაზ ტრაპაიძე -„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ გურიის ფილიალის ხელმძღვანელი. კიდევ რამდენიმე შეკითხვაზე გაამახვილა ყურადღება კერძოდ:

1.ხარვეზებს ვხედავთ საჯარო განხილვების პროცესში, აუცილებელია მეტი გამჭირვალობა.

2.კითხვები გვაქვს ხელშეკრულების მიმართაც. 10 წლიანი ვალდებულების შემდეგ რა ხდება?

ირაკლი კუჭავამ: დაზუსტებისთვის, ბატონო თამაზ ელექტრო გადამცემი ხაზები არის თუ არა სახელმწიფო საკუთრება? თუ კი სახელმწიფოს დასჭირდება ელექტროენერგია, კერძო კომპანია შეძლებს თუ არა სახელმწიფოსთან შეთანხმების გარეშე გაიტანოს დენი ექსპორტზე?

თამაზ ტრაპაიძე: ხელშეკრულებაში წერია 10 წლიანი ვალდებულება კომპანიის მხრიდან სახელმწიფოსთვის დენის მიწოდების შესახებ. ჩვენ კითხვა დავსვით რა ხდება ამ ვადის ამოწურვის შემდეგ?

ზაური ოსეფაიშვილი: როგორც ვიცი კომპანიას სჭირდება მუნიციპალიტეტის თანხმობა. ჩვენ დავიწყეთ ხელწერების შეგროვება ჰესის მშენებლობის წინააღმდეგ. ბატონო ირაკლი, თქვენ განაცხადეთ, რომ არ წახვიდოდით მოსახლეობის ნების წინააღმდეგ. ამის გამო, ჩვენ ხელწერების შეგროვება შევაჩერეთ. თუ მუნიციპალიტეტი დადგა იმ პოზიციაზე, რომ არ უნდა აშენდეს ჰესი ამ დროს რა ხდება? მეორე კითხვა: თქვენ რომ გააგზავნოთ თანხმობა მშენებლობაზე, თუ შეიძლება გააგზავნოთ მოსახლეობის პოზიციაც?

ირაკლი კუჭავა: ბატონო ზაურ, ჩვენ არ ვაგზავნით თანხმობას მშენებლობაზე. ჩვენ ვაგზავნით კანონთან თავსებადობის შესახებ მოსაზრებას.

ზაურ ოსეფაიშვილმა პროტესტის ნიშნად სხდომა დატოვა.

ვლადიმერ სიხარულიძე: ბახმარო იყო თავიდან 99 ჰექტარი. 2017 წლის მთავრობის დადგენილების შესაბამისად 940 ჰექტარი გახდა. დამტკიცებულია მიწათსარგებლობის და განაშენიანების გეგმები, რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია კანალიზაციის ასევე წყალანირების სისტემების მოწყობა, საინტერესოა რამდენად შეესაბამება ჰესის მშენებლობის პროექტი გენგეგმას.

გამოცხადდა 15 წუთიანი შესვენება

შესვენების დასრულების შემდეგ, განახლდა საკრებულოს სხდომა, ჩატარდა ხელახალი რეგისტრაცია.

სხდომის თავმჯდომარე- ზაალ მამალაძე.

სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები: დავით გუდავაძე, დავით ბერძენიშვილი, ქეთევან სიხარულიძე, ზვიად

წეროძე, დავით ტყეშელიაძე, ლაშა თოლორდავა, გოჩა ჯიქია, ნატო ჩანტლაძე, ლევან ლომინეიშვილი, ერეკლე უღრელიძე, გივი თავაძე, უშანგი ართმელაძე, ბესიკ ყენია, შოთა ჩხიკვაძე, ვლადიმერ სიხარულიძე, კლოდი მდინარაძე, ზვიადი მამალაძე, კობა კალანდაძე, ბექა გამდლიშვილი, მარინე ბერაძე, დავით შარაშიძე, მაია პაიჭაძე, ალექსანდრე ყაჭეიშვილი, ლია ჩიგოგიძე, მაია კუტუბიძე, ირაკლი ახობაძე.

არ ესწრებოდა: აკაკი ყაჭეიშვილი, გიორგი რამიშვილი, ენვერი ახალაძე, ალექსანდრე შარაშიძე, იაშა შათირიშვილი, მანანა მინდაძე, თემურ ხუხუნაიშვილი, მაია გიორგაძე, მინდია დოლიძე, მამია ბარამიძე, გოჩა მეგრელიშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის დამსწრეთ გააცნო დღის წესრიგი შემდეგი ფორმულირებით:

1. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N18 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

2. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ.

3. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2021 წელს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ.

4. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2021 წელს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში სოფლის პროგრამით გათვალისწინებული დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ“.

5. ანგარიში 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

6. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2021 წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

7. დაბა ჩოხატაურში გურამიშვილის ქუჩაზე მდებარე 2695 კვმ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი -28.01.23.407) სარგებლობის უფლებით (იჯარა) აუქციონის ფორმით გადაცემის შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის თაობაზე.

<u>აზრი გამოთქვა:</u> ვლადიმერ სიხარულიძემ, კლოდი მდინარაძემ, ზვიადი მამალაძემ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 27

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 27 წევრი)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N18 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

2. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

3. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2021 წელს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ.

მომხსენებელი: მერაბ ბერძენიშვილი

4. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2021 წელს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში სოფლის პროგრამით გათვალისწინებული დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ“.

მომხსენებელი: მერაბ ბერძენიშვილი

5. ანგარიში 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

6. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2021 წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

7. დაბა ჩოხატაურში გურამიშვილის ქუჩაზე მდებარე 2695 კვმ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი -28.01.23.407) სარგებლობის უფლებით (იჯარა) აუქციონის ფორმით გადაცემის შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელი: ლაშა თოლორდავა

I საკითხი:

1. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N18 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

მოისმინეს:

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N18 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების

შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

<u>აზრი გამოთქვა:</u> ირაკლი ახობაძემ: 2021 წლის ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების განკარგულებაში, საკრებულომ მხარი დაუჭირა კოხნარი-საჭამიასერის გზის პროექტს. შენიშვნაში წერია, რომ ამ ეტაპზე დაიხარჯოს 200 000 ლარი. ჩვენს ცვლილებაში კი გვაქვს 350 000 ლარი, რამდენად შესაბამისობაშია?

ზაალ მამალაძემ: საკრებულომ 2021 წლის პროექტების მოწონების განკარგულებაში, მთლიანად მოიწონა კოხნარი-საჭამიასერის გზის პროექტი. შენიშვნაში მართლაც წერია 200 000 ლარი. მუნიციპალიტეტი უახლოეს მომავალში ინფრასტრუქტურის სამინისტროდან ელოდება დამატებითი თანხების გამოყოფას. რის შედეგადაც მოხდება ყველა იმ პროექტის განხორციელება რომელიც საკრებულომ მოიწონა, მათ შორის კოხნარი-საჭამიასერის გზა სრულად.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 25

წინააღმდეგი _ 2 (მაია კუტუბიძემ, ირაკლი ახობაძემ.)

(კენჭისყრას ესწრებოდა 27 წევრი)

მიღებულია განკარგულება:

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N18 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

II საკითხი:

2. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

<u>აზრი გამოთქვა:</u> ბექა გამდლიშვილმა , ლაშა თოლორდავამ, ალექსანდრე ყაჭეიშვილმა.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 27

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 27 წევრი)

მიღებულია განკარგულება:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ.

III საკითხი:

3. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2021 წელს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ.

მოისმინეს:

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2021 წელს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ.

მომხსენებელი: მერაბ ბერძენიშვილი

<u>აზრი გამოთქვა:</u> ზვიადი მამალაძემ, შოთა ჩხიკვაძემ, ბესიკ ყენიამ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 27

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 27 წევრი)

მიღებულია დადგენილება:

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2021 წელს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ.

IV საკითხი:

4. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2021 წელს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში სოფლის პროგრამით გათვალისწინებული დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ“.

მოისმინეს:

„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2021 წელს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში სოფლის პროგრამით გათვალისწინებული დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ“.

მომხსენებელი: მერაბ ბერძენიშვილი

<u>აზრი გამოთქვა:</u> დავით ბერძენიშვილმა, ქეთევან სიხარულიძემ, ზვიად წეროძემ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 27

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 27 წევრი)

მიღებულია განკარგულება:

„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2021 წელს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში სოფლის პროგრამით გათვალისწინებული დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ“.

V საკითხი:

5. ანგარიში 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

მოისმინეს:

ანგარიში 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

<u>აზრი გამოთქვა:</u> მაია კუტუბიძემ კითხვით მიმართა მ. გოგოლაძეს თუ რატომ მოხდა ბიუჯეტის არასწორად ატვირთვა საკრებულოს გვერდზე?

მაია გოგოლაძე - 10 დეკემბერს შემოვიდა ბიუჯეტის ელექტრონული ვარიანტი, რომელშიც არ იყო ასახული 650,0 ლარი რომელიც მივიღეთ მთავრობის განკარგულებით.

მთავრობის განკარგულება, მოგეხსენებათ რომ გამოიცა თვის ბოლოს და საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნდა ბოლო სხდომის წინა დღეს. ჩვე ერთად ვიმუშავეთ და საკრებულოს წინადადებით დავაკორექტირეთ ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილი. გავითვალისწინეთ თქვენი წინადადებებიც და ისევ უყარეთ კენჭი ბიუჯეტის საბოლოო ვარიანტს. სხდომამდე შეთანხმებული ვარიანტი მე თვითონ გადმოგეცით. ასე , რომ სხდომაზე კენჭი ეყარა ბიუჯეტის იმ ვარიანტს რომელიც ატვირთულია მაცნეში და თქვენი კითხვა არასწორია.

ირაკლი ახობაძემ კითხვით მიმართა ბატონ მერს, რატომ ხდება ხელფასების მატება აიპებში.

ირაკლი კუჭავა - თქვენთვის თუ მისაღები იქნება მერიის სამსახურების, აიპების შესახებ, ყველა ინფორმაციას ჩემს ანგარიშში მოგახსენებთ.

მაია კუტუბიძე - ჩვენი ფრაქცია ამ და სხვა კითხვებს დაგისვამთ როცა წარმოადგენთ ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ.

ირაკლი ახობაძე - პანდემიის დროს, რამდენად მიზანშეწონილად მიგაჩნიათ სხვადასხვა მედიასაშუალებებს გადაურიცხოთ 3,000 ლარი ?

ზაალ მამალაძე - ზუსტად პანდემიის პირობებში აქტუალურია მოსახლეობის მეტი ინფორმირებულობა მუნიციპალიტეტის საქმიანობის შესახებ. მინდა დავაზუსტო საკრებულოს მედიაში ჰქონდა გამოქვეყნებული ორი დოკუმენტი. 1 მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტი, მისი გამოქვეყნება კანონით არის განსაზღვრული. 2 მუნიციპალიტეტის სოციალური დახმარების წესი. ამ წესის გამოქვეყნება მიზნად ისახავდა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ინფორმირებას თუ ვის და რით ეხმარება მუნიციპალიტეტი მოსახლეობას. თუ კი სხვა მედია მომსახურებასთან არის კონკრეტული კითხვები, გთხოვთ წერილობით მოგვაწოდოთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 27

წინააღმდეგი _ 2 (მაია კუტუბიძემ, ირაკლი ახობაძემ.)

(კენჭისყრას ესწრებოდა 27 წევრი)

მიღებულია განკარგულება:

ანგარიში 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

VI საკითხი:

6. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2021 წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

მოისმინეს:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2021 წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

<u>აზრი გამოთქვა:</u> ალექსანდრე ყაჭეიშვილმა, გოჩა ჯიქიამ, ლევან ლომინეიშვილმა.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 27

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 27 წევრი)

მიღებულია განკარგულება:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2021 წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

VII საკითხი:

7. დაბა ჩოხატაურში გურამიშვილის ქუჩაზე მდებარე 2695 კვმ. არასასოფლო-სამეურნეო

დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი -28.01.23.407) სარგებლობის უფლებით (იჯარა) აუქციონის ფორმით გადაცემის შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მოისმინეს

დაბა ჩოხატაურში გურამიშვილის ქუჩაზე მდებარე 2695 კვმ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი -28.01.23.407) სარგებლობის უფლებით (იჯარა) აუქციონის ფორმით გადაცემის შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელი: ლაშა თოლორდავა

აზრი გამოთქვა: ზაალ მამალაძემ, დავით გუდავაძემ, ბექა გამდლიშვილმა.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 27

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 27 წევრი)

მიღებულია განკარგულება:

დაბა ჩოხატაურში გურამიშვილის ქუჩაზე მდებარე 2695 კვმ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი -28.01.23.407) სარგებლობის უფლებით (იჯარა) აუქციონის ფორმით გადაცემის შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის თაობაზე.

სხდომის დასასრულს, საკრებულოს განცხადებით მიმართა საკრებულოს წევრმა მაია პაიჭაძემ

სამოქალაქო ბიუჯეტი პირდაპირი დემოკრატიის ერთ-ერთი ინსტრუმენტია, რომელიც წარმოადგენს სამოქალაქო მონაწილეობის ყველაზე მაღალ დონეს. ეს არის მოქალაქეების ჩართვა ადგილობრივი პრობლემების მოგვარებაში ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირების პროცესში მათი აქტიური მონაწილეობის მეშვეობით.

სამოქალაქო ბიუჯეტი მოქმედებს 9 მუნიციპალიტეტში, მათ შორის გურიის რეგიონში-ოზურგეთის მუნიციპალიტეტში (2019 წელს) სამოქალაქო ბიუჯეტის სხვადასხვა მოდელი არსებობ, ყველა მათგანი მიმართულია სახელმწიფო სახსრების განაწილებაში მოსახლეობის ჩართულობის გაზრდაზე. ეს შეიძლება იყოს დაწესებულების (მაგ: სკოლის ან კულტურის ცენტრის): რაიონის, ქალაქის, რეგიონის ან სულაც ქვეყნის (მაგ: პორტუგალია) სამოქალაქო ბიუჯეტი გრძელვადიანი და მუდმივი პროცესია, სადაც მოქალაქეები განსაზღვრავენ პრობლემებს, პრიორიტეტებს წარმოადგენენ საკუთარ პროექტების პრობლემების მოსაგვარებლად. პროექტებს ირჩევს ადგილობრივი მოსახლეობა, ხოლო ახორციელებს ადგილობრივი ხელისუფლება.

თუმცა სამოქალაქო ბიუჯეტი არ არის მოსახლეობის მიერ წარმოდგენილი პროექტების

განხორციელების „მშრალი“ პროცესი. ეს არის მოსახლეობის ჩართულობით თვითმმართველობის განვითარების ადგილობრივი პოლიტიკის ერთ-ერთი ინსტრუმენტი.

დისკუსიის პროცესში მოქალაქეები მონაწილეობენ, როგორც „თავიანთი საქმის ექსპერტები“ განიხილავენ თემის პრიორიტეტებს საერთო კეთილდღეობისთვის. სამოქალაქო ბიუჯეტი მონაწილეობის სხვადასხვა ფორმის გაერთიანების საშუალებას იძლევა, რომელიც უნდა განხორციელდეს ურთიერთ ქმედების საფუძველზე. მაგ: საჯარო მოსმენები, კონსულტაციები, შეხვედრები და ა. შ. ამიტომ სამოქალაქო ბიუჯეტი განიხილება, როგორც თვითმმართველობის ფუნქციონირების გაუმჯობესების ელემენტი, რომელიც ეფუძნება ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის ურთიერთგაგებასა და თანამშრომლობას.

ეს გახლავთ მოკლე მიმოხილვა, ინფორმაციის სახით, ვმუშაობთ სამართლებრივ პროცესებზე და ვგეგმავთ უახლოეს პერიოდში წარმოვადგინოთ სრულყოფილი პროექტები განსახილველად და დარწმუნებული ვარ, თითოეული საკრებულოს წევრი დაინტერესდება თემის საკეთილდღეოდ.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ზაალ მამალაძე

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი